სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/72

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 22 დეკემბრის №0001819859 და 29 დეკემბრის №0001858142 წერილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 29 დეკემბრის №01-06-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. განხორციელდეს ადმინისტრაციის სტრუქტურაში შემდეგი ცვლილებები:

1.1. შესყიდვების დეპარტამენტს ეწოდოს შესყიდვების სამსახური;

1.2. აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის განყოფილებას ეწოდოს აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრი.

1.3. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს დაემატოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული;

1.4. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს დაემატოს სამსახურის უფროსის მოადგილის ერთი საშტატო ერთეული.

2. დამტკიცდეს შესყიდვების სამსახურის, დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისა და აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრის დებულებები წარმოდგენილი სახით;

3. ცვლილებები აისახოს უნივერსიტეტის საშტატო განრიგში და ძალაში შევიდეს 2026 წლის 1 იანვრიდან;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**